საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3075-02
09/12/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან აკადემიური საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები სამართლის სკოლიდან აკადემიურ საბჭოში 1 ვაკანტურ ადგილზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან აკადემიურ საბჭოში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2016 წლის 12 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კანდიდატის სახელი და გვარი მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით (კანდიდატი უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

ბ) სკოლის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2016 წლის 16 დეკემბრამდე მიაწოდოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით;
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლიდან** აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 26 დეკემბერს;
7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, სამართლის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი